



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 5 18 00991116

08/08/2018

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N964292; 31.07.2018) პასუხად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, დანართის სახით წარმოგიდგენთ თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

ამასთან გაცნობებთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად საქართველოში სულ (ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი სამედიცინოს, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურებზე, ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე) ფიქსირდება 124432 "აქტიური" სტატუსის მქონე სტუდენტი.

ასევე გაცნობებთ, რომ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანების თანახმად მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოების და თანამდებობრივ სარგოებზე დანამატების გაანგარიშება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით: მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, სამუშაო დატვირთვა, სამუშაოს სპეციფიკა, სქემით განსაზღვრული სტატუსი და სკოლის მაღალმთიანი დასახლებაში მდებარეობა. შესაბამისად სხვადასხვა კვალიფიკაციის, სხვადასხვა სტაჟის და დატვირთვის მქონე მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სხვადასხვაა. ამასთან, „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N476 დადგენილების თანახმად, საჯარო სკოლები

უზრუნველყოფილია ყოველთვიური ვაუჩერული დაფინანსებით. აღნიშნული ვაუჩერით საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ასევე კომუნალურ და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას, საქართველოს მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლებში რამდენი პედაგოგის შრომის ანაზღაურება შეადგენს 800.00 ლარს და მეტს.

აქვე განვიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

დანართი: „01“ ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსი
მარიამი ძიძიგური

მ. ძიძიგური